ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5093872

ნომერი: AR1769609

თარიღი : 24.08.2020

გაცემის თარიღი : 07.09.2020

გაცნობის თარიღი : 07.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნავთლუღის ქუჩა N8ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ქუსიკაშვილი პ/ნ 01011037336
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვიქტორ გაბესკირიას ქუჩა, N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1769609 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1768124 განაცხადით მიმდინარე პროცესის დადებითად დასრულებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის 19 აგვისტოს #AR1768124 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე თეა თაბაგარმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8ა; # 01.17.12.023.036; საკადასტრო

ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამრეცხაოსა და გარე პარკინგის დემონტაჟის უფლება, რაზეც სამსახურის 2020 წლის 03 სექტემბრის #5086933 ბრძანებით ეთქვა უარი.

ასევე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა #8ა; საკ.კოდი # 01.17.12.023.036; (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებათვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
